# სამშობლო

წ. I 1915 წ. — ოთხშაბათი 8 აპრილი

**ფასი:** წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი ... ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ... გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 51 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 51


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

სოფიო დიმიტრის ასული და მეუღლე მისი გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილები, ილია ალექსანდრეს ძე ოსიტაშვილი და მარიამ იოსების ასული ღოღობერიძისა მეუღლით—ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოდ დაკარგვას პირველი—ძვირფასი დისა, მეორენი—ცოლის დისა და მესამენი—დეიდაშვილისა

**ნადეჟდა დიმიტრი ცინცაძის ასულის კანდელისას,**

რომელიც გარდაიცვალა **იტალიაში—ქ. პადუაში.** პანაშვიდი გადახდილ იქნება ქ. ქუთაისში, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 9 აპრილს, შუადღის 12 საათზე. 1—1 151

---

**სტეფანე პავლეს ძე მარიამ ზაქარიას ასული შვილებით და ვერა გერმანეს ასული ფეიქრიშვილები** აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ცხრა აპრილს, დილით ცხრა საათზე ოცდა მეათე დღეს გარდაცვალებიდან მათის დაუვიწყარის შვილისა, ძმისა და მეუღლის

**პავლე სტეფანეს ძის ფეიქრიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი.

1—1 № 154

---

## ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 9 აპრილს, ქართ. დრამ. დასის მსახიობთა მიერ **ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის ცნობილი ორიგინალური პიესა გურულთა ცხოვრებიდან

## ვინ არის დამნაშავე?

დრ. 4 მოქ.

მზადდება ახალი დეკორაციები, სიმღერები და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

---

ორჯერ ზედიზედ ახალი პიესა.

**ქუთაისის თეატრი.**

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 11 და კვირას, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინისა

## იუდა ისკარიოტელი

(იუდას მოძღვარი)

5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისა.

ეს პიესა დაიდგა რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ეკუთვნის ამხანაგობას იხატება დეკორაციების ნაწილი და იკერება ტანისამოსი.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები.**

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

**ა ნ ო ნ ს ი:** მზად. წარმოსადგ. ხუთშაბათს, 16 აპრილს ბენეფისი დასის რწმუნებულის და ადმინისრატორის **ვასო ურუშაძისა.**

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიქიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური. თ.

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი."**

ორშაბათიდან, 6 აპრილიდან ახალი არაჩვეულებრივი საუცხოვო პროგრამა, სენსაცია იქნება.

## ქ მ ა რ ი

არციბაშევის რომანიდან, დრამა 6 ნაწილათ, შესრულებულია მოსკოვის თეატრების საუკეთესო არტისტების მიერ. **„მეუღლის"** როლს შეასრულებს მსახიობი ქალი კორშოს თეატრისა **მ. მ. ტორიჩევასა.** **„ქმრის"** როლს შეასრულებს გამოჩენილი არტისტი **ა. ო. ვარიაგინი.**

### რუსული სამხედრო ქრონიკა

სკობელევის კომიტ. მე-4-ე სერია.

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი ს ა ღ ა მ ო ს 6 ს ა ა თ ზ ე.**

**ადგილების ფასები:** ლოჟა—14 შ. I ადგ. 3 აბ., II ადგ. 2 აბ., III ადგ. 5 შ.

---

## ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

შაბათს, 11 აპრილს, 1915 წელს, შესდგება

მუსიკალურ-ვოკალურ-ლიტერატურული

## ს ა ღ ა მ ო

მოქმედ ჯარის მეომრების სასარგებლოთ.

დარბაზი მორთული იქნება ინჟინერ ფრიკის ხელმძღვანელობით.

ცოცხალი სურათები, ვოდევილი (რუს. ენაზე) ბოშათა რომანსები და სხ.

**შესვლის ფასი 1-დან 3 მანეთამდე.**

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** **დაწვრილებით პროგრამებში.**

საღამოს გამგე ელენე ნაკაშიძის ასული ჩიქოვანისა.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

**ვისაც სურს** შეიძინოს **კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თ ე ს ლ ი** უნდა მიმართოს **ლოზ ბურასს** მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით **„პასტერის"** სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

**ვ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ,** რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

**ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.**

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

**მმ. ადამიდის მაღაზიაში, ქუთაისში.**

პატივისცემით **ნიკოლოზ ბურასი.**

10—3—149.

---

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც

**ხ. ხრისტოდულიდის**

მიუცილებელ საჭიროდ ვცნანით, რომ თესლის მეიდგენი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი"**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი"**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია ახის **„შტემპელი"** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის"** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის"**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის **სიმთელეს** აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოუხვევული სახთანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გძელდება.**

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ცაგერის აფთიაქის მოიჯარადრენი სთხოვენ ყველას, ვისაც რა ფული მართებს ცაგერის აფთიაქიდან წაღებული წამლებისა შემოიტაიონ აპრილის დამლევამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება მათი სახელი და გვარი გამოცხადებული გაზეთში, რადგან ჩვენი მრავალი თხოვნა და ხვეწნა არავინ შეიწყნარა.

4 აპრილი, 1915 წელი. 1—1 № 155

---

**კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა,** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი** **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

## ს ტ უ დ ე ნ ტ ი

**ვარლამ ფერაძე** (9 წლის პრაქტიკით)

**ვამზადებ და ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჰავჰავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—14

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 6 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 5 აპრილს, ღამით, მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ტელეპოჩიდან აღმოსავლეთის სიმაღლეებზე მტერმა ჩვენს ჯარზე იერიში მოიტანა, მაგრამ კონტრიერიშით ვაიძულეთ უკან დაეხია, ამასთან ავსტრიელების ერთი ბატალიონი დაგვნებდა. გამოირკვა რომ, 3 აპრილს, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფელ პოლენას ალების დროს ჩვენ 1155 ჯარისკაცი და 20 აფიცერი დაგვიტყვევებია და 6 ტყვიისმტყორცნელი გვიხელთნია. 4 აპრილს, სტრიის გზით მტრის ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ. ჩვენი ფრონტის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 6 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღევანდელმა დღემ შედარებით წინანდელთან მშვიდობიანათ ჩაიარა. ქვეითა ჯარს მტერთან კერძო ხასიათის შეტაკება ჰქონდა. მდ. ენის ვეოზე სენმარსოს ტყეში საღამოს მტერმა ჩვენს თხრილებზე იერიში მოიტანა, მაგ-

რამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქნა. შემდეგ ჩვენ ხიშტებით მივიტანეთ მტერზე იერიში და დიდი ზარალი მივაყენეთ. გერმანელები შამპანში მდ. პერტას ჩრდილო-დასავლეთით იძულებული იყვნენ თავი მიენებებინათ იმ ორმოსთვის, რომელიც ჩვენს ხაზ ს ახლოს ეჭირათ. ავაფეთქეთ ნაღმები, იერიში მივიტანეთ მტერზე და 60 მეტრის სივრცეზე თხრილების მთელი რიგი წავართვით. ვევრში არტილერიის სროლა იყო. ლოტარინგიაში პარუასის ტყის მიდამოებში ბიურთან, მონაკურთან, ამბერმილთან და სენმარტენთან მტერმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში, მაგრამ ყველა იერიში ადვილათ მოვიგერიეთ. გერმანელებმა ელზასში ჩვენს თხრილებზე უნაყოფოთ სამჯერ მოიტანეს იერიში. მცირე რეიხაკკერკოპფში შნეპფერნიტის რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ. ფრანგმა მფრინავმა, ბელგიაში, დიდი დევნის შემდეგ, გერმანიის ჰაეროპლანი ლანგემარკოსა და პასშენდელეს შუა, მტრის ბანაკის რაიონში ჩამოაგდო.

**ლონდონი.** 6 აპრილი. პრესბიურო კაირიდან იტყობინება, რომ 2 აპრილს, სამი ჰაეროპლანი აფრინდა და სუეცის არხიდან 25 კილ. მანძილზე ელარიშის სამხრეთით დაზვერა მოახდინა, სადაც 8 ყუმბარა ჩამოაგდო. მათ აქვე მტრის ბანაკის ორასამდი კარავს მოჰკრეს თვალი. ელსირის გასწრივ მტრის ჯარი შემჩნეული არ არის.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 6 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 4 აპრილს, ზღვისპირის გზით სროლა გრძელდებოდა. ართვინის გზით ჩვენი ჯარი სამხრეთისკენ გულდაგულ მიიწევს. სხვა გზებზე შეტაკება არ მომხდარა.

**სოლუნა.** 5 აპრილი. მიტილენიდან იტყობინებიან, რომ გუშინ მოკავშირეთა ფლოტმა დარდანელის რამდენიმე პორტებს ყუმბარები დაუშინა. ოსმალების ჰაეროპლანმა მოკავშირეთა ფლოტის გემებს ყუმბარები ესროლა. მოკავშირეთა მფრინავები ოსმალების ჰაეროპლანს გამოეკიდნენ. ყოველ დღე მოკავშირეთა ჰიდრო ჰაეროპლანები სრუტეს გზით სმირნაზე დაზვერვას ახდენენ.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ლონდონი.** 6 აპრილი. საადმირალო იუწყება გემ „მანიტუზე" მყოფ ჯარის რაოდენობას. 24 დაიხრჩო, 27 კაცი კიდევ აკლია. ესენი ალბათ ორ გადაბრუნებულ ნავზე დაიღუპნენო. „მანიტუ" უვნებლათ გადარჩა.

**რომი.** 5 აპრილი. „ჯორნალედიტალია" იტყობინება, რომ იმპერატორ ფრანც იოსებმა საგანგებო შიკრიკის ხელით პაპს წერილი გაუგზავნა. პაპიმ ეს წერილი უკვე რვა დღეა რაც მიიღო. გუშინ რომიდან ვენას გაემგზავრა დავალებული პირი, რომელმაც ამ წერილზე იმპერატორს პაპის პასუხი უნდა გადასცეს.

**თავრიზი.** 6 აპრილი. ამ უკანასკნელ დროს ქალაქში გაჩნდნენ ვიღაც აგიტატორები, რომლებიც ცდილობენ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის რუსებისადმი მძულვარება ჩამოაგდონ. აგიტატორები დააპატიმრეს. ქალაქში გაკრულია განცხადებები, რომლითაც მთავრობა ყველას მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვიდობიანობის დამრღვევთ მთავრობა სასტიკათ დასჯის.

**ციურიხი.** 6 აპრილი. შვეიცარიაში ორი თვის სამყოფი შაქარია. გერმანიიდან და ავსტრიიდან შაქრის გატანის აკრძალვის გამო, შვეიცარიიდანაც იქნება აკრძალული გერმანიაში და ავსტრიაში შაქრის, შოკოლადისა, რძისა და ყველის გატანა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

პრეს ბიურო იტყობინება, რომ ალბანელებმა ჩერნოგორიის ტრანსპორტებს ყუმბარა ესროლეს, რომელიც სკუტარის ახლო მდ. ბოიანზე მიდიოდა. საქონლით დატვირთული ორი ტრანსპორტი ჩაიძირა. აფეთქებამ ერთი ჩერნოგორელი მოკლა და ერთიც დაიჭრა.

— —

რუმინიის გაზეთების ცნობით, უნგრეთის გზით კარპატებისაკენ ბავარიის ჯარით განუწყვეტლივ მიდის მატარებლები. იქიდან ასევე განუწყვეტლივ მოდის დაჭრილი გერმანელებითა და ავსტრიელებით სავსე მატარებლები.

— —

ათინადან ცნობაა, რომ ოსმალები მარი-კეი-არაე-ბურგასსის ხაზს გაფაციცებით ამაგრებენ. ოსმალეთის ჯარი 8,000 გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით საომრათ ემზადებიან.

— —

ბერლინიდან მიღებული ცნობით, რუსეთის გემი „ფენიქსი", რომელიც გერმანელებმა დაიჭირეს ვიღაც ბოლტნკ ისთვის, გამბურგში 280 ათას მარკათ მიუყიდნიათ.

— —

ცნობა ნიუიორკიდან იმის შესახებ, ვითომ გერმანელებს სურდეთ ზავის ჩამოგდება სტატუს კუო ანტეს თანახმათ, უნდა ჩაითვალოს როგორც ერთგვარი ფანდი. ამ ფანდს გერმანიის ოფიციალურ ნოტასთან აქვს კავშირი, რომელმაც პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკა მოკავშირეთ სამხედრო სურსათ სანოვაგეს აწვდის, თუმცა ამავე დროს მას არ აიძულებს გერმანიასაც მიაწოდოს პური.

— —

4 აპრილს, გაზ. „ვოს. ცეიტ"-ში გერმანიის სტატისტიკური კომიტ. დირექტორის, ექიმ პუშჩინის წერილი იყო მოთავსებული, რომლითაც დაასკვნის, რომ მაისის ბოლო რიცხვებში გერმანელები უკარტოფილოთ დარჩებიანო.

— —

მილანიდან იტყობინებიან ებრაელებისგან შემდგარ ლეგიონის შესახებ, რომელმაც პალესტინის სახელმწიფო უნდა შექმნას. ამ ლეგიონის ხელმძღვანელნი ამერიკელი ებრაელები არიან. ამათ უერთდებიან ევროპის სხვა ქვეყნების ებრაელებიც. რაწამს იტალია ნეიტრალიტეტს დაარღვევს, ებრაელთა ლეგიონიც ბრძოლას დაიწყებს. ინგლისის მთავრობამ ამ ლეგიონის განზრახვა მოიწონა.

— —

პაპის განცხადებამ—რომ ამერიკა მთელს ქვეყნიერებაზე ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია მიიღოს თავის თავზე ინიციატივა ზავის ჩამოგდებისათვის—დიდი ყურადღება მიიქცია გერმანიაში.

ამ მოწოდებამ გერმანულ პრესაში დიდი კამათი გამოიწვია. გერმანელები, ბრაინისა და ვილსონის ნეიტრალური პოლიტიკის წყალობით, ამერიკის წინააღმდეგ აღელვებულებულები არიან.

### უთანხმოება გერმანიის სოციალ-დემოკრატთა შორის.

იყო დრო და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, რომ ყოველ ქვეყნის სოციალისტთა შორის რეფორმისა და რევოლიუციის საკითხი უთანხმოებას იწვევდა, რაც ხშირათ განხეთქილებამდეც მიდიოდა ხოლმე.

დღეს, რევოლიუციის ნაცვლათ ომის საკითხია წამოყენებული და აი სწორეთ ამან დაბადა გერმანიაში უთანხმოება, რომელიც, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სულ უფრო და უფრო მწვავდება.

მოპირდაპირე პრესა ამას პარტიის კრიზისს უწოდებს, ის მართალია, თუ რასაკვირველია, ახალი მსოფლიო კითხვის წამოყენების გამო პარტიაში დაბადებულ უთანხმოების განვითარებას და აზრთა სხვადასხვაობას კრიზისი ეთქმის. მხოლოდ ის კი აშკარა ფაქტია, რომ ამ უთანხმოების მთავარი მიზეზი საზოგადოთ ახლანდელი მსოფლიო ომია და კერძოთ გერმანიის ს. დემოკრატიაში მომხდარ უთანხმოებას საბაბი რეიხსტაგში საბიუჯეტო კითხვის წამოყენებამ მისცა.

ის აზრი, რომ ახლანდელ უთანხმოების საფუძველი „მოძრაობისა და საბოლოო მიზნის" შესახებ წარმოთქმული ფორმულა არაა, იმითაც მტკიცდება, რომ ახლა თვითონ ამ ფორმულის ავტორიც, ედუარდ ბერნშტეინიც იმავე ბანაკში აღმოჩნდა, რომელშიაც მისი წინანდელი იდეიური მოწინააღმდეგენი იმყოფებიან. ბერნშტეინი რომ თავის ფორმულის თვალსაზრისით უყურებდეს ახლანდელ ომს, მაშინ ის გერმანიის გამარჯვებას, რათაც უნდა უჯდებოდეს ხალხს ის, ხმას მისცემდა და ხელს შეუწყობდა. მას კარგათ ესმის, რომ გამარჯვება ახლანდელ ომში ეკონომიურ წარმატებას ნიშნავს მომავალში, ხოლო ეკონომიური წარმატება „მუშათა მოძრაობას" აძლიერებს, რაც ბერნშტეინის ფორმულით „საბოლოო მიზანს" ჩრდილავს.

რეიხსტაგის სხდომაზე ამას წინათ სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ლედებური და ლიბკნეხტი ისეთი სიმკაცრით გამოვიდნენ მთავრობისა და თავის პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ, რომ ს.-დ შეიდემანი იძულებული გახდა გაეცხადებია: ს.-დ. ფრაქცია პასუხისგებას არ კისრულობს ზემოხსენებულ თავისი ორი წევრის გამოსვლის გამო.

რეიხსტაგში ბიუჯეტის შესახებ ხმის მიცემის დროს ს.-დ. ფრაქციის 30 წევრმა დემონსტრატიულათ დატოვა სხდომ ს დარბაზი, ორმა დეპუტატმა—ლიბკნეხტმა და რილემ—ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამის გამო ფრაქციამ, როგორც მკითხველმა იცის, ლიბკნეხტს და რილეს გაკიცხვა გამოუცხადა, რადგან მათ თავისი საქციელით პარტიული დისციპლინა დაარღვიეს.

იმ 30 ს.-დ. შორის, რომლებმაც დარბაზი დემონსტრატიულათ დასტოვეს, ლედებური და ბერნშტეინიც იყვნენ. როგორც ხედავთ ლედებური, უკიდურესი ოპოზიციონური და „რევიზიონისტი" ბერნშტეინი ერთ ჯგუფში მოხვდნენ და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ხმის მიცემაში ერთ აზრს დაადგნენ. როგორ მოხდა ეს, რა კითხვებმა გამოიწვია გერმანიის ს.-დ. შორის ასეთი უთანხმოება და რა და რა ჯგუფებათ დანაწილდა ის, დღემდე გარკვევით და დაწვრილებით არ ვიცით; არ ვიცით იმ ცნობილ მიზეზის გამო, რომლის წყალობით პრესა „ეზოპის" ენით სწერს.

ვიცით მხოლოდ შემდეგი:

ს.-დ. დეპუტატმა გენიშმა რამდენიმე ცნობა გამოაქვეყნა რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის იმ სხდომის შესახებ, რომელიც რეიხსტაგის წლევანდელ [illegible] წინ უძღოდა; და აი ამ სხდომაზე გამოაშკარავდა, რომ [illegible] შესახებ ომის დროს ს.-დ. შორის რამდენიმე სხვადასხვა გვარათ მოაზრე ჯგუფი გაჩენილა. ამ სხდომაზე აღმოჩნდა, რომ ერთნი იმ აზრის იყვნენ ფრაქცია გაყოლოდა იმ გზასა და ტაქტიკას, რომელიც მან 4 აგვისტოს რეიხსტაგის ისტორიულ სხდომაზე თავის დეკლარაციაში აღნიშნა; ხოლო მეორენი მოითხოვდნენ თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ გადაჭრით უარეყოთ 4 აგვისტოს ტაქტიკა და ახალ გზას დადგომოდნენ. ამ ორ მიმდინარეობის შორის მორიგება-შეთანხმება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა და ის უფრო და უფრო გამწვავდა, როცა ფრაქცია ომის საკითხის გარკვევას შეუდგა.

ამიტომ საკვირველიც არაა, თუ დღეს გერმანიის ს.-დ. პრესაში პარტიულ განხეთქილებაზეც ლაპარაკობენ, იგივე ს.-დ. დეპუტატი გენიში ს.-დ. მთავარ ორგანოში „ფორვერსში" გამოთქვამს იმ აზრს, რომ ს.-დ. დღევანდელ ჯგუფთა შორის უთანხმოება იმდენათ გაღრმავდა, რომ მორიგება შემდეგისთვისაც შეუძლებელი იქნებაო.

თუმცა იგივე ავტორი იმავე გაზეთში ასეთ შთაბეჭდილების შესამსუბუქებლათ სწერს: „სახეში მე მუშები როდი მყავდა, მე ვლაპარაკობდი მხოლოთ საზოგადო სოციალისტურ მოძრაობასთან ლიბკნეხტის ვიწრო წრის შეურიგებლობაზე; იმ წრის, რომელიც მხოლოთ და მხოლოთ ლიტერატორებისა და თეორეტიკოსებისგან შედგება, რომლებმაც „მუშათა მოძრაობასთან" ყოველივე კავშირი გაწყვიტეს. ეს ლიტერატორები და თეორეტიკოსები მხოლოთ იმ შემთხვევაში აღადგენენ მუშათა მასასთან კავშირს, თუ პრუსიის გამგეობა კვლავ ფონ-ზედლიცოვების პრინციპების თანახმათ იქნება მოწყობილი. ხოლო თუ პრუსიის დღევანდელი გამგე-პატრონნი და მბრძანებელნი დააკმაყოფილებენ დაბოლოს მუშების მოთხოვნებს, რაშიაც მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უთუოთ ასე იქნება, მაშინ ლიბკნეხტის პატარა ჯგუფი სრულიათ უნდა გაქრეს, ვინაიდან ყველა ის ილიუზიები, რომლებსაც ასაზრდოებდა და ზრდიდა, რვა თვის ომის განმავლობაში მხოლოთ საოცარ და სასწაულებრივ მოჩვენებებს წარმოადგენენ. ლიბკნეხტის ჯგუფი—სწერს დეპუტატი გენიში—ეს მხოლოთ მუწუკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სალ ორგანიზმზეო".

---

# გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

შემდეგი იხილე „სამშობლო" 50-ე №

### მოქმედება II.

(სცენა წარმოადგენს მინდორს. ხის ქვეშ წამოწოლილან: კოსტა წავქისელი, ზაქარია მხარგძელი და ორი კიდევ მხედარი. ცეცხლი ოდნავ ბჟუტავს მათ შუა).

**მხარგძელი.** აგრე იყო ეს ამბავი... გეყოფათ ახლა, ბევრი მალაპარაკეთ. (ამთქნარებს) ძილის დროა (წაიხურავს ნაბადს) ცოტა მაინც დავისვენოთ.

**წავქისელი.** მხოლოდ ეს გვითხარ: მერმე რა მოხდა აღმაშენებელი, რომ ავიდა ტახტზე?

**მხარგძელი.** ო-ო! დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, რომლისთანაც მალე არ მოევლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ ამათ მიაკრა ყველა ქართველი თემი, და ცალცალკე, დამოუკიდებელი არსებობა, მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადებთა, დაასუსტა და შეჰქმნა ამ საშუალებით ერთი სახელმწიფო მთელი ივერიისა. სწორედ იმ დიდებულის კვალზე სდგას ახლა ჩვენი მეფეცა.

**წავქისელი.** მერე რა გამოვიდა იმისაგან, რომ სხვადასხვა სამთავროსაგან ერთი სამეფო შეჰქმნა?

**მხარგრ.** რა გამოვიდა?! როგორ გიპასუხო ამაზე? კარგი წრთვნილი ყმა ხარ და ეს უბრალო საგანი არ გესმის. (ამთქნარებს) აბა ჯერ სთქვი: ვისმე ცემა რომ გინდოდეს, რას შემოჰკრავდი? წკიპურტსა თუ მუშტს?

**წავქის.** ეს რა საკითხავია? რასაკვირველია, მუშტს შემოვკრავ.

**მხარგ.** რატომ?

**წავქის.** როგორ თუ რატომ?

**მხარგრ.** ჰო, რატომ? იმტომ, რომ თითო თუ ჰკარი ვერას ავნებ, და როდესაც ხუთივე თითს მაგრად დასკვნი, მაშინ ამ მუშტით კი შეგიძლია წააქციო და ავნო მტერს; აგრეა ჩვენი ქვეყანაც, როცა ყველანი ცალცალკე ვიყავით, ღონე არ გვქონდა და, როდესაც ერთად ვართ, აბა მობრძანდეს მტერი.

**წავქის.** ო-ო, ეს დიდი აზრია, ამაზე კი არ მიფიქრია!

**მხარგრ.** მაშ, ახლა კი მომასვენე!

**წავქის.** ერთი კიდევ უნდა გკითხო, შენი ჭირიმე! ახლა მეფე ორბელიანს რაიზე უწყრება? მართალია, რომ თურმე სამეფოს ედავება თავის გაზრდილისათვის?

**მხარგრ.** მართალია; მაგრამ მაგას ხვალ გიამბობ... ს უ—ეს რა ამბავია? (მოისმის ხმაურობა სცენის უკან. აბჯარს დაავლებენ ხელს და წამოჯდებიან.

**ხმა.** რას მერჩით, ღმერთი არ იცით? რას მერჩით (დარაჯთ შემოყავს უბრალო კაცი, ქალამნითა და ძონძებში ჩაცმული).

**მხარგრ.** ვინ არის ეს კაცი?

**პირველი დარაჯი.** რა მოგახსენოთ: „ბრამა ვარ, მესტვირეო", მაგრამ რადგან ბრძანება გვქონდა არავინ გაგვეშვა...

**მხარგრ.** (მხედარს) ყმაწვილო, ცეცხლს შეუბერე. (მესტვირეს) ბიჭო, ვინა ხარ შენ.

**მესტვირე.** გახლავარ თქვენი მლოცველი, საწყალი ვინმე მესტვირე.

**წავქის.** ბიჭო, მაშ ღამით რაღას დაწანწალობ? დღით იარო, არა სჯობია.

**მესტვირე.** შენი ჭირიმე! ჩემთვის უფალმა ცის სინათლე დაალამა. დღე და ღამე ჩემთვის ერთია.

**1—დარაჯი.** სიბრმავეს ჩემულობს, მაგრამ ერთობ ცქვიტათ მოდიოდა, როცა დავიჭირეთ.

**მხარგ.** ჯოხი ჰქონდა ხელში?

**1—დარაჯი.** ჯოხი კი ჰქონდა ბატონო! აგერ მისი სტვირიც.

**მხარგრძ.** საწყალია ვიღაც, თავი დაანებეთ. ცოდვაა!

**მესტვირე.** შენი ჭირიმე! დაგლოცოს ზენამ!

**მხარგრძელი.** გაუშვით, მაგრამ წინ წყაროსაკენ არ წავიდეს, დააბრუნეთ უკანვე (დარაჯნი ხელს გაუშვებენ).

**წავქის.** მაგრამ აგრე უბრალოდ კი ნუ მიდიხარ: ჯერ ერთი გვიმღერე. სტვირი მიე, ყმაწვილო! (აძლევენ) დაუკარი, გაჩუქებთ!

**მესტვირე.** (უკრავს და მღერის).

ღმერთმა გაცოცხლოს ბატონო,
მოგანიჭოს დღეგრძელობა
მე ბრმა ვინმე უპატრონო
ქვეყნის არა გამეგება.
ვერა გხედავთ მადლიანო:
ვით გავმიდო თქვენი ქება.

სახელი მიბრძანე შენი ჭირიმე.

**წავქის.** კოსტა წავქისელი, როქის სპისა.

**მესტვირე.** (მღერის).

აქ ბრძანდება წავქისელი,
კოსტა ჰქვია მას სახელი;
მან არ იცის შიში მტრისა
ჩაუქია როქის სპისა
მას ზენამან ნუ მოაკლოს
წყალობაი ხელმწიფისა.

**მხარგძ** ჰაი ბიჭო!

**მესტვ.** (მღერის).

ეს ხმა კიდევ არის სხვისა,
ისიცაა მონა ღვთისა.

**წავქის.** ზაქარიათქო მხარგრძელი.

**მესტვირე.** (განაგრძობს სიმღერას).

ესეც არის, რომ გვიბძანებს
თურმე ბრძანდება მხარგძელი,
მაცხოვარმა ქნას დღეგრძელი.
გვაროვნობით კარგთა ტომი,
ფიცხლად იცის მტერთან ომი,
სასახელო მხედარია,
პირად მზე და ტანად ლომი.
ეს ორნივე უცხო გვარნი,
უცხო ენით საქებარნი,
მათ სწყალობდეს ღვთისმშობელი,
სულ მიეცეთ მთა და ბარი.
ღმერთო! აცოცხლე ყოველი
მათი გულით საყვარელი,
აუსრულე დიდებულო
გულის ყველა საწადელი!

**მხარგძ.** (არ აცდის) გაგიმარჯოს, ქარგი, გვეძინება. აჰა ერთი დრაკანი. (ფულს გადუგდებს. მესტვირე უცბათ წაიწევა ასაღებად, მაგრამ ისევ უცებ თავს შეიკავებს. პაუზა). ეჰე, ბიჭო! ჰკავს შენ მთლად ბრმა არ ყოფილხარ, თუ კი წინ წაიწიე ფულის ასაღებად?

**მესტვ.** (ცოტა დაბნეულად). ჩვეულება გახლავს შენი ჭირიმე! ყური მაქვს ხმაზე დაჩვეული; ფული სადაც დავარდება, დაწკარუნდება და ამით მივაგნებ ხოლმე.

**მხარგ.** მაშ თუ კი მიაგნებ, კვლავ რაღაზე დაიხიე უკან?

**მესტვ.** რა ვქნა მადლიანო. შიშისაგან აღარ ვიცი, რას ვშვრები. არასოდეს ადამიანს ექვი არ აუღია ჩემს საცოდაობაზე.

**მხარგ** (ამოიღებს სატევარს და წინ წაიშვერს). მაშ ვნახოთ, თუ მართლა ბრმა ხარ შენ! გამოიარე აბა პირდაპირ, სადაც ჩემი ხმა გესმის. წამო ჩქარა, ნუ გეშინია, სწორი ალაგია.

**მესტვ.** (წავა პირდაპირ და სატევარს წააწყდება). ვაიმე ქრისტიანი მომკლეს! მიშველეთ მე საწყალს, რას მერჩიან. ადამიანებო, მიშველეთ, შემიცოდეთ, (ყველა მიეშველება).

**მხარგ.** წყალი ჩქარა. (ერთი დარაჯი გარბის).

**მესტვ.** ვაიმე დედავ, ვაიმე!

**მხარგ.** არა უშავს რა, სულ ცოტად არის დაჭრილი მკლავზე.

**წავქის.** რას ეჩხოდი საცოდავს?

**მესტვ.** ვაიმე, რას მერჩოდენ, ბატონო, რასა. (კულისებში ამ დროს ისმის აბჯარის ჩხარუნი, დიდი ხმაურობა და გუშაგთა ყიჟილი).

**წავქ.** ჩუ! რა ამბავია? (ყურს უგდებენ.)

**მხარგძ.** ეჰე! დაგვესხნენ თავზე, წავიდეთ ჩქარა. (იარაღს დაავლებენ ხელს და გარბიან).

**მესტვირე** (მარტო. წამოხტება ზეზე) ეს კიდევ რა უბედურებაა? ამ ქაჯებს როგორც იყო მოვაღორებდი და ეს ახალი მეხვევა თავზე? გავიქცე, მაგრამ საით? წინ ჩხუბია და უკან დავბრუნდე, რა გავარიგო? მოვიცდი აქ. (ხეს ამოეფარება) ო-ო! ძალიან ჩახაჩუხი და ძახილია (ხმაურობა თანდათან ახლოვდება). ეხ, ღმერთო! ზაქარიას კი არა გაუჭირდეს რა! (შემოვარდება მძიმედ დაჭრილი მხედარი და დაეცემა კვნესით მიწაზე. ამას მოსდევენ იოანე ორბელიანი, დემნა, ლიპარიტ, გაბრიელი, ჯაყელი და მათნი მხლებელნი. ყველანი ხმალ-ამოღებულნი, გარდა დემნასი).

**ჯაყელი.** ჰა, თქვე ქაჯებო, თქვენა! როდის იყო ორბელიანსა და ათაბეგს გზაზე არ უშვებდნენ?

**მესტვირე.** მამა ჩემი, თუ მნახა და მიცნო, ხომ აღარ გამიშვებს?!

**იოანე.** ვიცოდეთ მაინც, რა კაცებია, რომ გვეჩხუბებიან?

**ჯაყელი.** უეჭველად მეკობრეებია.

**ლიპარიტ.** მეკობრეებს არ უგავთ, სიალფე და აბჯრის ხმარება. აგერ აგდია ერთი მკვდარი, ვნახოთ! მგონია სპისა უნდა იყოს.

**იოანე.** სპისაო? (ყველანი მიგდენ ახლოს) დიახ! სწორედ საკვირველია. როქის სპისა ყოფილა ეს კაცი. (ამ ლაპარაკის დროს ბევრი მივა იმ ხესთან, სადაც მესტვირე ჩამჯდარია. მესტვირე კალთაზე ხელს წაავლებს ბერს).

**მესტვირე.** გაბრიელ, მე ვარ შალვა

ასე ბჭობს დეპ.´ გენიში ლიბკნეხტზე და თუ რუსულ გაზეთს დაუჯერებთ უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიის ს.-დ—ში— ლიბკნეხტ-როზა ლიუქსემბურგის ჯგუფს ადგილი აღარ ექნება მომავალში, რაც ძალიან საეჭვოა.

დ—ელი.

## პოლონური პრესა.

(საქალაქო თვითმართველობის შესახებ).

პოლონური გაზეთები ძლიერ თავდაჭერილათ შეხვდენ ახალ კანონს საქალაქო თვითმართველობათა შემოღების თაობაზე პოლონეთში.

სახალხო დემოკრატიის ორგანოს „გაზეთ ვარშავა“-ს მოყავს ისტორიული ცნობები, საიდანაც ნათლათ ჩანს ის გარემოება, რომ ბიუროკრატიულ სფეროში დიდიხანია იყო აღძრული ეს საკითხი, რომელსაც თვით ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვდა მის განხორციელებას. გაზეთს მოყავს აგრეთვე ახალი კანონის ძირითადი მშრალი დებულებანი.

გაზეთების უმრავლესობას ახალი კანონი თავისი შინაარსით ვერ აკმაყოფილებს, იგი მიაჩნიათ სასარგებლოთ მხოლოდ პოლონეთის პრაქტიკული ცხოვრებისათვის.

უპარტიო გაზეთი „ვარშავის კურიერი“, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია პოლონეთში, კითხულობს: შეიძლება თუ არა ახალი კანონი გახდეს დასაწყისათ ახალ რეფორმათა შემოღებისა პოლონეთში და ამ კითხვაზე თვითვე უარყოფით პასუხს იძლევა: ამ მიზნისათვის მრავალ სხვადასხვა მოსაზრებით ახალი კანონი სრულებით უვარგისია.

არავისთვის დაფარული არაა, რომ საქალაქო თვითმართველობა იმ სახით, რა სახითაც ის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო, ვერ დააკმაყოფილებდა პოლონეთის საზოგადოებას, თითქმის იმ დროსაც კი, როცა საზოგადოებას ყოველგვარი იმედი დაკარგული ქონდა რაიმე პოლიტიკური ცვლილების მოხდენისა. ამ კანონის საზოგადო დებულებანი დიდი ხანია კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული და ვერ აკმაყოფილებდა თავისი შინაარსით თვით მთავრობას. როგორც ეს აშკარათ ჩანს საკანონმდებლო პალატებში ოფიციალური განცხადებიდან.

ის ცვლილებანი, რომელნიც განსაკუთრებით პოლონეთისათვის მოახდინა მთავრობამ, ერთი მხრით კარგია, მეორის მხრით არა დასაკმაყოფილებელი. ასე რომ სანიმუშოთ ეს დებულება არას გზით არ უნდა ჩაითვალოს.

ხოლო, თუ საზოგადოებრივ აუცილებელ საჭიროებათა თვალსაზრისით შევხედავთ ამ საქმეს—ამბობს გაზეთი—დარწმუნებული ვართ, რომ პოლონეთის საზოგადოება სისწორით დააფასებს ამ დროებით რეფორმას და მოხერხებულათაც ისარგებლებს ამითი.

შემდეგ წერილში, სათაურით „საიდან დავიწყოთ“, „ვარშავის კურიერი“ დაწვრილებით ეხება პოლონეთის სამეფოს პრაქტიკულ ცხოვრებას, მწუხარებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სკოლა გათიშულია თვითმართველობებიდან და გაზეთი პირველ ადგილს აძლევს სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, სიძვირესთან ბრძოლას, გზების და მიმოსვლის მოუწესრიგობას.

„თუმცა ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არა გვაქვს, რომ მალე დადგება დრო ნაციონალური თვითმოქმედებისათვის, მხოლოდ ჯერჯერობით ვალათ გვაწევს აღმოუჩინოთ მხარეს ყოველგვარი დახმარება და ხელმძღვანელობა ახალი კანონის ფარგლებში.

ამ თვალსაზრისით არკვევს, ახალ კანონს პროგრესიული გაზეთი „დეჩნიკ პოლსკი“-ც.

იგი სწერს: წასულმა დღესასწაულებმა ჩვენ დიდიხნის დანაპირები საქალაქო თვითმართველმა მოგვიტანა. ამ გვარად მოისპო ერთერთი სპეციალური ზღუდეთაგანი ჩვენი სამშობლოისა. საქალაქო მეურნეობა, მართალია ერთი წვეთთაგანია საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მაგრამ მთელი ძალა უნდა ვიხმაროთ გამოვიყენოთ ეს კანონი ქვეყნის საკეთილდღეოთ. ომის წყალობით განადგურებული მხარე უფრო საჭიროებს ასეთ სამოქალაქო ორგანოებს პირველ ხანებში, რომ აღდგენილ იქნან ჩვენი დაბა-ქალაქები და ცხოვრებამ ნორმალური მიმდინარეობა მიიღოს. და, ვიდრე იმის დასრულება მოგვიტანდეს ჩვენ შესაფერის პოლიტიკურ ცვლილებას—საყურადღებო და სასარგებლო ფაქტათ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ პოლონეთის შინაური მეურნეობა პოლონელ მოქალაქეთა ხელში გადადის.

„ნოვა გაზეტა“, ჩამოსთვლის რა ახალი კანონის უარყოფით მხარეებს (კურიალური სისტემა არჩევნებისა, პოლონური ენის შეზღუდვა, სკოლების გათიშვა თვითმართველობისაგან, ებრაელების მონაწილეობის შეზღუდვა თვითმართველობებში და სვ.), ამბობს.

„ახალი კანონის შემოღება ამ ომიანობის დროს, ვიდრე პოლონელების სურვილები კანონიერათ ჩამოყალიბდებოდეს აუცილებლათ უნდა განხორციელდეს შინაგანი რეფორმები, რომელიც ახალ პირობებს დაბადებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხოლოდ საკითხია უმრავლესობისათვის: ხელსაყრელია თუ არა დღევანდელი მომენტი თვითმართველობათა ორგანიზაციების შესაქმნელათ იმ განსაკუთრებულ პირობებში და საზოგადოების იმედების განხორციელების მოლოდინში, რომელსაც ეს რეფორმა არ გულისხმობს.

თავისთავად ცხადია, დასძენს გაზეთი, რომ საქალაქო თვითმართველობანი, ვერ გადასწყვეტენ პოლონეთის ნაციონალურ ცხოვრებას პოლიტიკურათ, რადგანაც იგი მხოლოდ სამეურნეო დაწესებულებაა“.

„რომ პოლონეთის თვითმართველობა პოლონური უნდა იყოს—ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამავე დროს იგი უნდა იყოს დემოკრატიული, თუ თავისი ფორმით არა—შინაარსით. მან უნდა შექმნას ისეთი საქალაქო ორგანიზაციები, სადაც ყველა მოქალაქემ ისე თავისუფლათ უნდა იგრძნოს თავი, როგორც თავის საკუთარ სახლში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ასეთი იქნება საქალაქო თვითმართველობანი პოლონეთის სამეფოში.

## მოტაცება

### სტეფანე პეტრეს ძის ოცხელისა.

ორშაბათს, 6 აპრილს, სამწუხარო ამბავი მოხდა ქ. ქუთაისში:

— ყაჩაღებმა გაიტაცეს ვაჭარი სტეფანე პ. ოცხელი!

როგორც გავიგეთ, ბ-ნი სტეფანე ოცხელი ნაშუადღევის ოთხ საათზე გამოსულა თავის ბინიდან, გზაზე მეგობარი—მასწავლებლები შეხვედრია; მცირე საუბრის შემდეგ, ოცხელს სურვილი გამოუთქვამს, ქალაქს გარეთ, ეფრემიძის აგარაკზე წასულიყვენ სასეირნოთ. ნაცნობები დასთანხმებიან და პირდაპირ ეფრემიძის მადაზიაში მისულან. ბ. ეფრემიძეს ეს სასიამოვნოთ დარჩენია: უყიდია საჭირო სანოვაგე, მოუწვევია სხვა ამხანაგებიც და ყველანი წასულან ახალ აგარაკზე.

რამოდენიმე საათის შემდეგ, ცოტა შეზარხოშებულნი უკან დაბრუნებულან, მოსულან თუ არა „მეფის ტახტ“ თან (ეს ადგილი ფერმის ზემოთ მდებარეობს) მათ წინ გადაღობებიათ ორი შეიარაღებული უცნობი პირი და უბრძანებიათ, ადგილიდან არ დაძრულიყვენ; მათი თანმხლებნი, ორი ვაჭარი მესაიფით უფრო წინ მონავალან, ასე რომ ამ ყაჩაღებს ასცდენიან; ყაჩაღებს სათითაოდ უკითხავს მათთვის სახელი და გვარი. როგორც ამბობენ, ოცხელს თავის გვარი გადაუთქვამს, ყაჩაღებს მაინც უცვნიათ ის და წრიდან გამოუყვანიათ.

წინ წამოსულ ორ ვაჭარს შეუმჩნევიათრა ეს გარემოება, ქალაქისკენ წამოსულან აჩქარებით და ყოველივე პოლიციისათვის შეუტყობინებიათ.

პოლიციამ წამსვე შესაფერი ზომები მიიღო ავაზაკთა შესაპყრობათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყაჩაღების კვალს ვერ მიაგნო.

ბ. ოცხელი ცნობილი პირია ქ. ქუთაისში და მისი ასეთი ვერაგულათ გატაცება, ყველა მოქალაქეს აშფოთებს.

# ახალი ამბავი.

ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის თავჯდომარემ, ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის კომიტეტს იანვრისა, თებერვლისა და მარტის ანგარიში მოსთხოვა.

✦ ამ დღეებში მოხდება ქუთაისის კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრება. კომიტეტი ანგარიშების შედგენას უკვე შეუდგა. კრებას მსჯელობა ექნება აგრეთვე ახლო მომავალში კომერციულ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ ბ. გუბერნატორმა ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრეს ნება დართო, 23 აპრილს, ქალაქის ბაღში მოაწყოს სეირნობა ლოტარია-ალეგრით. ამ სეირნობის შემოსავალი მოხმარდება კავკასიის ჯარისკაცთათვის თეთრეულების დამზადებას.

✦ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს სამიწათმოქმედო დეპარტამენტისაგან მოწერილობა მოუვიდა, რომ წელს კლასიდან კლასში გადასვლა ნიშნების მიხედვით მოახდინონ. მოწაფეები კი უსათუოთ მაისში დაითხოვონ, რომ გლეხობას სამეურნეო დახმარება აღმოუჩინონ.

✦ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტს ამა წლის იანვარსა და თებერვალში 3.338 მან. და 71 კაპ. შემოსვლია.

✦ როგორც ჰიათურიდან გვწერენ შავი ქვის საბჭოს პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში გამოცდები 15 აპრილს დასრულდება.

✦ როგორც ვწერდით, ქუთაისში ამ უკანასკნელ დღეებში სანოვაგე აღარ შემოდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩარჩი მოვაჭრეები სოფლელებს ქალაქიდან 7—8 ვერსის მანძილზე ხვდებიან და თვითონ ყიდულობენ. ამ რიგათ სანოვაგე ქალაქში ჩარჩებს ჩამოაქვთ და მამასისხლათ ჰყიდიან. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

✦ მგოსან ი. ჰავჰავაძის სახელობის ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებელში უკანასკნელი გამოცდები დანიშნულია 15 აპრილისათვის. ქუთ. სამეურნეო სასწავლებელში ჯერ გამოცდები არ დაწყებული.

✦ ქართული გიმნაზიის მერვე კლასში წერითი გამოცდების შემდეგ სამოცდაჩვიდმეტ მოწაფიდან დაუშვეს 74 მოწაფე. მეექვსე კლასში არავინ არ ჩაჭრილა. სულ გამოცდებზე დაშვებულია მე-6 კლ. 56 მოწაფე.

✦ 6 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სამეურნეო კომისიისა და სანოვაგის მომწყობი კომიტეტის შეერთებული კრება, რომელმაც ქუთაისის ვაჭრებს სანოვაგის შემოსატანათ ვაგონები ამ რიგზე გაუნაწილა— ფქვილისათვის: მიხ. მოშიაშვილს 6 ვაგ., ნ. ჯანელიძეს 1 ვაგ. ლომიძეს 2 ვაგ. რ. კაკიტელაშვილს 2 ვაგ. მარდ. კაკიტელაშვილს 2 ვაგ. და რუხაძეს 2 ვაგონი. შაქრისათვის: დ. ქებაძეს 1 ვაგ. გოკიელს 1 ვაგ. და ჯანელიძეს 1 ვაგონი. ნავთისათვის: ჯანელიძეს 1 ვაგ. ნარსიას 2 ვაგ. და ბექაიას 1 ვაგ. სიმინდისათვის: ნ. ჯანელიძეს 2 ვაგ. ბაზაძეს 1 ვაგ. და ჩილინგაროვს 2 ვაგონი. თევზისათვის ბაზაძეს 1 ვაგ. თევზისათვის ტყეშელაშვილს 2 ვაგონი და სხვადასხვა სანოვაგისათვის კუპრაშვილს 1 ვაგონი.

✦ 1 აპრილს, გორის (ქუთაისის მაზრა) საზოგადოების სამართველოში მოხდა სოფ. ზენდარის, სალომინაოს, გორისა და როხის მცხოვრებთა ყრილობა შიმშილობის შესახებ. ეს მხარე როგორც 1913 წელში მოუსავლობით, ისე შარშანაც დაზარალდა. ამისთვის მშრომელმა გლეხობამ გადასწყვიტა აიღონ მთავრობიდან სესხი, რომ ყანებიც დასთესონ და შიმშილით არ დაიხოცონ. ყრილობამ თავის რწმუნებულებათ აირჩია სილოვან გრიგოლის ძე ლიქყეპიანი და ერმალო თ. ნიჟარაძე, რომლებმაც მთავრობის წინაშე სესხის ასაღებათ იშუამდგომლებენ.

✦ ქალთა საზოგადოებამ სასადილოს მოსაწყობ კომისიაში, სხვათა შორის, აირჩია ქეთ. ჩარკვიანისა, ოლ. გეგეჭკორისა და რაჟდენ კანდელაკი.

✦ ქუთ. რკინის გზის სადგურს ზევით სალორიისაკენ, ჩარექოვის კირის ქარხანასთან ადის გზა. ეს გზა აგერ ორი წელიწადია ნიაღვარმა ჩააქცია, მაგრამ ჯერ ყურადღებას არავინ არ აქცევს.

✦ **საიმედო აბრეშუმის თესლი კანტორა „იმერეთ“-ში.** ორი დღეა, რაც საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა ტეხნიკოსი გრიგოლ ჯანელიძე და ჩამოიტანა ლონდონიდან დავით ლაშაშიძისაგან ხსენებულ კანტორისათვის გამოგზავნილი ფრანგული საიმედო აბრეშუმის თესლი ევროპაში დიდის ხნიდან (1867 წ.) კარგათ ცნობილ და „ლეგიონი“-ს მედლით დაჯილდოებულ ლოჟიეს ფირმისა. თესლი არის ყვითელი, შვიდ მისხლიანი და ღირს 2 მ. 50 კაპ.—2 მ. 80 კ. პარტიობით წამღებთათვის მოლმპარაკე ბით.

✦ მეოთხე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ერმანი დაბა სოფლებში გაემგზავრა სარაიონო დაბალ სკოლებში მოწაფეთა გამოცდებზე დასასწრებლათ.

✦ გაზ. „იმერეთის“ ყოფილ რედაქტორის თავ. ბ. ჯაიანის საქმეს, სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს ქ. ქუთაისში ამ წლის 7 მაისს. ბ. ჯაიანი სამართალშია მიცემული, სასჯელთა დებულების მე 132-ე მუხლის ძალით; მას ბრალდება, ვ. ვაზიანის წერილის „უბრალო ჭეშმარიტებანი“-ს ბროშურათ გამოცემა. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი თავ. მექი ფალავა.

✦ იმ ინციდენტების გამო, რომელიც ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიაში მოხდა შარშან, სამოსწავლებლო უწყების დეპუტატის, ბ-ნ კორიცკის და გიმნაზიის მასწავლებელთა შორის, გაზ. „იმერეთის“ ერთ-ერთი ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ია ეკალაძის წერილი „ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გარშემო“, რომელშიაც აღწერილი იყო ბ. კორიცკის მოქმედება; ამ წერილის გამო „იმერთის“ რედაქტორი თავ. ბ. ჯაიანი სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების მე 1034 მუხლის ძალით. ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა შარშან 11 დეკემბერს; ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ა. ს. საყვარელიძე. ოლქის სასამართლომ ბრალდებული გაამართლა, მაგრამ სასამართლოს განაჩენზე, ბრალმდებელმა პროტესტი შეიტანა და ეს საქმეც ხელმეორეთ გაირჩევა 12 მაისს სასამართლო პალატაში, ქ. ტფილისში.

✦ ს. სვირიდან ამ დღეებში ჩამოვიდა რამდენიმე გლეხი, რომლებმაც მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტს თხოვნა მისცა, რომ აეკრძალოს ვაჭრებს ჩარჩებზე შაბიამანის გაყიდვა.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ. შიმშილობას თავი იქაც უჩენია. გლეხებს გადაუწყვეტიათ დასახმარებლათ შუამდგომლობა აღძრან საგუბერნიო კომიტეტთან.

✦ როგორც ემჩნევა, ქალაქში კიდევ უსუფთაობა ბატონობს; ზოგიერთ ადგილზე საჭირო ალაგები სრულიად არარის გასუფთავებული და მიდამო ყარს; მიზეზი ის არის, რომ სახლის პატრონები, ამას სრულიად ყურადღებას არ აქცევენ და ქალაქის სანიტარული კომისიაც შესაფერ ყურადღებას არ აქცევს კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს მათი გასუფთავება ამ საშინელ დროს მაინც, როცა ათასი გადამდები სენი გვემუქრება.

## კულაშის საცდელი მინდვრის შესახებ.

წყალ-წითელას საცდელი მინდორი (ОПЫТНОЕ ПОЛЕ) მოთავსებულია გადაიტანეს სოფელ კულაშს თ-დ ვლადიმერ მიქელაძის ეზოში; იმ მიზნით, რომ ხალხმა სიშორის გამო ვერ ისარგებლა წყალწითელას საცდელი მინდვრით და ამას გარდა ნიადაგიც აქ არ იყო ნაყოფიერი; კულაშის მიწა კი უფრო ნაყოფიერია და მასთან ამ ადგილის ირგვლივ ორი ათასი მოსახლე მცხოვრებია შემორტყმული, განურჩევლად წოდებისა.

საცდელი მინდორი აქ არსებობს თითქმის ექვსი წელიწადია, მაგრამ, როგორც ეტყობა არაქმოუტანია ხალხისათვის არავითარი სარგებლობა. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ საცდელი მინდვრის გამგე ბატონი ჯაფარიძე სალოსი ბერივით ჩაკეტილა სახლში და არავის ეკარება; დღესაც არ იცის ხალხმა მნიშვნელობა და მიზანი საცდელი მინდვრისა. საცდელი მინდვრის მიზანი კი, როგორც მოგეხსენებათ ის არის, რომ, ხალხში, რაც შეიძლება, მეტი სამეურნეო ცოდნა და შეგნება შეიტანოს. ჭეშმარიტათ საკვირველია ბატონ ჯაფარიძის ასეთი საქციელი.

მთავრობისგანაც რომ არ ქონდეს დავალება ხალხში ცოდნის შეტანისა, ისედაც ვალდებულია ზნეობრივათ, როგორც ქართველი კაცი, თავის გაჭირვებულ მოძმეებს დახმარება აღმოუჩინოს, ასწავლოს ის რაც მათ არ იციან.

ბატონ ჯაფარიძეს კარგათ უნდა ესმოდეს, როგორც გამოცდილსა და ნიჭიერ მეურნეს, რომ ერთადერთი ეკონომიური საშუალება რომ მშრომელმა ხალხმა თავისი მდგომარეობა გაიუმჯობესოს კულტურული მეურნეობის შესწავლაა.

ამიტომ აუცილებლათ საჭირო იყო ბატონი ჯაფარიძე დაახლოებოდა მშრომელ ხალხს, აეხსნა მისთვის მნიშვნელობა და მიზანი საცდელი მინდვრისა, გაეცა გამოცდილებით მიღებული ცოდნა, თუ რა მცენარე და რა ხეხილი ვარგობს კულაშის მიწაზე და სხვა.

დარწმუნებული ვარ, ბატონი ჯაფარიძე რომ ასე მოქცეულიყო, დღეს საპატიო ადგილი ექნებოდა დამსახურებული კულაშის მშრომელ ხალხში. ტყუილათ არა აქვს ჩვენ სახელოვან მგოსანს ნიკოლოზ ბარათაშვილს ნათქვამი ეს შესანიშნავი სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“. იმედი გვაქვს, ბატონი ჯაფარიძე დღეს შემდეგ მაინც ეცდება თავისი პირდაპირი მოვალეობა პირნათლათ შეასრულოს.

პ. მიქელაძე.

## ჭიათურის პითარეგა.

(გაკვრით.)

ჭიათურის მრეწველობა, რომ არა მრეწველთა ხელშია და მხრის აყვავებას, რომ მრეწველები წინ ცლობებიან და ამ ერთადერთ, უსაჭიროეს მთელ დედა-მიწის ზურგზე ყოველდღიურ საჭირო მადანს შავ-ქვას ტყვილა კარგვენ; სხვის ოჯახს ამდიდრებენ და თავის კერას ამსებენ,—ეს აშკარა ჩანდა დღემდი, ჭიათურის შავიქვის გაზიდვის დაწყებიდან.

35 წლის განმავლობაში შავი-ქვის გამუდმებულმა წარმოებამ ვერ მოგვცა ხელში ადგილობრივი ცოდნე და გაბედული მრეწველი, თუმცა საამისოთ ბევრს უღიმოდა ბედი, დროც ხელს უწყობდა, მაგრამ ქართველებს „კომერციული“ ცოდნით აღჭურვილი პირები, ბედმა არ არგუნა და ამიტომაც მოხდა, რომ მრეწველობის ნიადაგზე, ვისაც ბედმა გაუღიმა, იგი საქმის გაფართოებას კი არ მიყვა გზადაგზა, როგორც ეს ევროპაში ხდება, ალებული ფულით, მიზნათ დაისახა თავის გამოჩენა; ხმალ-ხანჯალის ჩამოკიდებით; კარტის თამაშით, ბანოვანთა ტრფიალით, გაშლილ სუფრაზე სავსე სტაქნებით, გულუხვი ცარიელი რეჩებით და სხვა. ამ უვიცობის გზაზე ბევრი ქართველი მრეწველი დაიღუპა და სწორეთ ამან მოუსპო ნიადაგი აქ უცხო „კაპიტალის“ გარდა მესაკუთრეობის გამეფებასაც. პირველის წინააღმდეგი არც როდის არ ვყოფილვართ და არც ვიქნებით, ხოლო მეორეს-კი ვერ მოვიწონებთ, რადგანაც ეს გვიქადის ჩვენი მამულ დედულიდან აყრას. ჩვენ, ადგილობრივ მწარმოებელთა უვიცობით, ეს

---

ჯაყელი,—მოვდივარ თქვენთან, ვიმალები, მამა ჩემმა არ მნახოს.

**ჯაყელი**. (იოანეს). აბა, ახლა როგორ იტყვი იოანე? კიდევ არ დაიჯერებ? რომ შენს სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება? (იოანე დაფიქრდება).

**გაბრიელი**. (შალვას) რა ამბავია, რა მოხდა?

**შალვა**. მერე გიამბობ, ახლა მომეხმარე, აქიდან გამიყვანე ისე, რომ არ მიცნონ. წავიდეთ (ადგება გაბრიელს გაყვება).

**ჯაყელი**. ვინ არის გაბრიელ ის კაცი?

**გაბრიელ**. გლახაკია, ბატონო, ვიღაც, აეშაგი ჰგონებიათ დარაჯთ და დაუჭრიათ. მინდა ცოტა წყლული შევუხვიო, ცოდვაა (გადიან).

**ლიპარიტ**. (დემნას) უფლისწულო! რა წესითა ნებულობ, რომ ჩვენ ომში ვართ და შენ კი ჰაბუკი ვიღაც-კაცი, ხმალჩაგებუსდგეხარ?

**დემნა**. ეჰ! მამამძუძევ მაგაზე ჩვენ ვერ შევთანხმდებით.

ომს მირჩევნია დავრჩე მარად გონების შვებით,
რადგან კაცია, ცხოველთ შორის გონებიანი,
და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი,
სცდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა
და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა,
მკვდარია მასში, კაცობრივი გონიერება
და შთება მხოლოდ სულდგმულისა მას მძვინვარება,
(შემოდის გაბრიელ).

(შემდეგი იქნება).

უგ. თ. გ. შარვაშიძე.

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და წვრილათ.
თესლი შემოწმებულია თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.

საპარტიო სავაჭრო საბაკალეო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. პილასოვისა
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩ.
15—10

არა სასიამოვნო მოვლენა ნახევრათ უკვე განხორციელებულია ჭიათურაში.

უცხოელთა მესაკუთრეობის წინაამდეგ ერთხანათ კიდეც მივიღეთ შესაფერი ზომები: დავაარსეთ დიდი ამხანაგობა „შავი-ქვა", რომელ ამხანაგობასაც ჰქონდა ფული, სათავეში თითქოს მცოდნე და პატივ-საცემი, საქმით დაინტერესებული პირები უდგენ, მაგრამ ქართველურმა დაუდევრობამ, ორიოდ გროშის შეძენამ, ქართველი მრეწველები გაამაყა, ეგონათ, ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩაო. და თვითვე დაასამარეს თავისივე მხსნელი ამხანაგობა.

რამდენიმე მრეწველმა დავაარსეთ აგრეთვე „ბიურო". ბიუროს მთავარი მიზანი იყო: უცხოეთიდან პირდაპირი დამოკიდებულობა კარგი საქონლის მიწვდა და ნდობის მოპოება. ეს კი მისაბაძი მაგალითი იქნებოდა დანარჩენ ამხანაგებისათვისაც, თუ საქმე კარგათ წავიდოდა.

ამით ხელის შემშლელ „ექსპორტერებს", ჩამოვიშორებდით, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევძელით; ვერ შევიძელით მიტომ კი არა, თითქოს ვერ მოვაწყეთ საქმე. არა, ვენდევით ჩვენსავე მამულეს, ვილაც ჩხეიძეს, რომელიც საღზვარგარეთიდან გვიკარნახებდა და დასახლებასაც გვპირებდა. გამოჩნდა მყიდველიც, მაგრამ ოქროებმა გააბრიყვა ბ. ჩხეიძე და ჩვენს ორ გემ ქვაში, რომელიც მას გავატანეთ-მოგების ნაცვლათ თავნის მესამედიც ვერ ავიღეთ. დანარჩენი ვინ ჩაყლაპა ალახმა უწყის.

ადგილობრივ მრეწველთ, რომელთაც მამულიც აქვთ და საქმეც, უცხოელი მყიდველი შავიქვისა, ან მექარხნე ნდობით არ უყურებს, ეტყობა: ის „უმაკლეროთ" არ იკავებს ჩვენთან საქმეს. ასეთმა საქციელმა ჩვენი ბოლოზის მომხმარებლებისამ, ჩვენ ეჭვი დაგვიბადა: ვფიქრობთ, ისინი განგებ ეტანებიან ჩაჩხირონ საქმეში „მაკლერები", რომლებიც ყოველთვის გვლუპვენ და ჩვენი წანართმევით საერთოდ უვლიან დავლურს. ამიტომ გამყიდველნიც და მყიდველნიც დაშორებულნი ვართ ერთმანეთზე და ასეთმა გარემოებამ კი სხვა გარეშენი გაიბატონა ჩვენზე.

მიუხედავათ ყველა ამისა და მწარე გამოცდილებისა, ჩვენ მრეწველებმა ვერ შევქენით ერთი მტკიცე—ჩვენი ინტერესების დამცველი „ორგანიზაცია". მკითხველი იტყვის აკი არის მრეწველთა საბჭოო. დიახ, გვაქვს, მაგრამ ჩვენსა და საბჭოს შუა დიდი ხრამია. საბჭომ ზოგიერთ ჩვენს საჭირო საკითხს, რაც მისთვისაც აუცილებელი თავსატეხი იყო, გვერდი აუხვია. და აი რათა: ჭიათურის შავი-ქვა ჩვენი ქვეყნიდან განუწყვეტლათ გადის უცხოეთსა და რუსეთშიაც. თუ გადავავლებთ თვალს სტატისტიკურ ცნობებს, მოთხოვნილება ყოველ წლივ მატულობს. დროებითი შეჩერება ზოგჯერ გამოიწვია გაფიცვებმა და ამ უკანასკნელათ მხოლოდ ომმა, თორემ გაზიდვა იშვიათად შეწყვეტილა, შავი ქვის აღმოჩენის დროდან, „კრიზისი"-კი ბევრჯერ დაუდგა, რასაც იწვევდა, მხოლოდ ზედმეტი საქონლის დამზადება. ასეთი კრიზისების დროს გაზიდვა კიარ სწყდებოდა, მხოლოდ ეცემოდა ფასები, რადგანაც მყიდველი ამას ხელოვნურათ ქმნიდა; ე. ი. იმას ქარხანასთან ბლომათ ჰქონდა ქვა, აგრეთვე იცოდა, რომ ჭიათურის საწყობებზე 80—100 და მეტი მილიონი ფუთი ქვა მყიდველს უცდიდა. ეს მიზეზები იწვევდა ხელოვნურათ ფასის დაკლებას, რადგანაც იცოდენ ჩვენი სისუსტე—„უორგანიზაციობა" და საქმის უცოდინარობა, რის მიზეზებითაც ყოველთვის მივცემდით ქვას დიდი ზარალითაც და ამ საქმეს პირნათლათ ვასრულებდით. კიდეც.

(დასასრული იქნება).

**ა. ხაბულიანი.**

## დაბა-სოფლები.

**ს. ტობანიერი** (ქუთ. მაზრა). ტობანიერი მდებარეობს რიონის გაღმა მხრით. აღმოსავლეთით მას საზღვრავს ვანის საზოგადოება, დასავლეთით მუხაყრუა, სამხრეთით მდინარე რიონი და ჩრდილოეთით საპაიჭაოს საზოგ. ამ საზოგადოებაში ცხოვრობს 1000-დი კომლი, გლეხობა და 120-დე აზნაურობა და სასულიერო წოდება. მოსავლით ეს მხარე კარგია. აქ სთესენ უმეტესათ სიმინდს, ლობიოს, ღომს, ბამბას, მუხუდოს, ძალიან ეტანებიან მევენახეობასაც. ამ ბოლო დროს შემოიღეს დაფნის მოშენება. ამ საზოგადოებაში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც მისაღები ბავშის რიცხვი ბევრია და შიგ ადგილი კი ნაკლები. ორი-სამი წლის წინათ რამდენიმე საზოგადოების მოწინავე ელემენტებმა აღძრეს საკითხი ამ საზოგადოებაში სამოქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელიც შეადგენს აუცილებელ საჭიროებას, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, დახმარების მაგივრათ, საქმე შეაფერხა, და დღემდი საკითხი მარტო საკითხათ დარჩა.

ახლათ დანიშნული ბოქაული ბ. გაბუნია გვპირდება დახმარებას და იმედიც გვაქვს, რომ დაეწრება საზოგადოების ყრილობას, გაუთვალისწინებს ხალხს სამოქალაქო სასწავლებლის მნიშვნელობას და ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე სასურველათ დაგვირგვინდება.

ამ საზოგადოებიდანაც არის გასული მომქმედ ჯარში რამდენიმე სათადარიგო ჯარის კაცი, რომელთა ადგილ-მამულიც უპატრონოთ არის მიტოვებული და ხვნა თესვის დრო კი უკვე კარებზე გვადგია.

სასურველია, საზოგადოების შეგნებული პირები ამოიღებდენ ხმას და შთააგონებდენ ხალხს რომ საჭიროა ახლავე მათი დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ადგილები დაუხვნელი დარჩება და მეომართა ოჯახებს შიმშილი მოელით.

**ს. სულაბერიძე.**

—

**ს. ზედა-ილემი** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს 7—8 ვერსის მანძილზე დაბა-ზესტაფონიდან. კულტურულის მხრით ეს სოფელი არ ჩამოუვარდება თავის მეზობელ სოფლებს. აქ არსებობს ორ-კომპლექტიანი სამრევლო სკოლა და მასთან უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო, რომელიც დიდად ხელს უწყობს აქაურ მცხოვრებლების განვითარებას, თუმცა ეს სამკითხველო ძველად ცუდ პირობებში არსებობდა, მაგრამ ახლა კი აშკარად ემჩნევა გაუმჯობესება აქაური მცხოვრებლების წყალობით. რომელნიც დიდ მადლობის და პატივისცემის ღირსნი არიან.

განსაკუთრებით მადლობას ვსწირავ ბ. ვ. გოგრაძეს, ზ. კ. მაჭავარიანს, ანა ალავიძის ასულს, ელენა წერეთლის ასულს, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიზოგეს და ზემოხსენებულ სამკითხველოს გამოუწერეს ნახევარი წლით „სახალხო ფურცელი".

**ვერა ნ—მე.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ მიიღოთ ასი მანეთი ომისაგან დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ.*)

შტაბს-როტმისტრი **არსენ ე. ლომაძე.**
16 მარტი 1915 წ.

——

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მისცეთ ადგილი შემდეგ ღია ბარათს:

ბ. ბარნაბა გელაზანიას.

თქვენი მუქრუთში გაწვევისა და დაპატიმრების შემდეგ, ზოგიერთმა პირმა გაავრცელა ხმა, ვითომც თქვენ ებრძანებინოთ, რომ თქვენ გაწვევა-დაპატიმრებაში ბრალი მე მედვას. ამ საგანზე ზოგიერთები არც ახლა სწყვეტენ საუბარს.

ამის გამო, უმორჩილესად გთხოვთ მოკლე დროში, და არა უგვიანეს ერთი თვისა ამ წერილის დასტამბვიდან, პრესის საშუალებით მაცნობოთ: მართლა თქვით თქვენ რამე ამის მსგავსი და, თუ სთქვით, რა საბუთი გქონდა თქვენ ლაპარაკს?

თუ პასუხი არ გამეცით ამ წერილზე, მე ნება მექნება ვიფიქრო, რომ თქვენ მართლა გაგივრცელებიათ ჩემს შესახებ ეს საზიზღარი ცილისწამება, რასაც პირუთვნელი საზოგადოება, იმედია, შესაფერ მსჯავრს დასდებს.

თქვენი ყოფილი ამხანაგი მასწავლებელი.

**ალექსანდრე ჩინჩალაძე.**

——

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცელზე აღვნიშნოთ ს. მათხოჯის საზოგადო კრების დადგენილება და საშუალება მოგვცეთ ეს უკანასკნელი გავაცნოთ საზოგადოების ფართო მასას.

ჩვენ სოფელ მათხოჯის ქუთაისის მაზრის მცხოვრებნი შევიკრიბეთ, 5 აპრილს, ამა 1915 წელს და მსჯელობა გვქონდა ჩვენი დღეობის „ოქონობის" გაუქმების თაობაზე.

მივიღეთ რა მხედველობაში ის აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ მცხოვრებნი განვიცდით, დღეს ქონების მხრით (რომელიც გამოწვეულია როგორც მოუსავლობით, ისე შემაძრწუნებელი ომით) და აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ძმები, მამები და შვილები სისხლს ღვრიან ბრძოლის ველზე, ესალმებიან წუთისოფელს ჯერ კიდევ ჯანსაღი ადამიანები, ერიან უპატრონოთ ყვავ-ყორნების საჯიჯგნათ. დავადგინეთ: **დღეობა „ოქონობა", რომელიც უნდა გადაგვეხადა, 19 აპრილს, მოსპობილ იქნას.**

ავირჩიეთ ჩვენს შორის კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: ვლ. ფირცხალავა, ეს. ბარაბაძე, მღ. ი. ჩინ—ძე, ვ. კვიცარიძე, ილ. მელაძე და ვ. გ., რომელთაც ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგენ საქმეს და მომავალ კვირას, 12 აპრილს, გამოაცხადონ არა ნაკლებ ათი სოფლისა წირვის გათავების შემდეგ ადგილობრივ მღვდლების დახმარებით, ეს ჩვენი დადგენილება და განუცხადონ მკვიდრთ, რომ „ოქონობაზე" მობრძანებით თავს ნუ შეიწუხებენ და ნურც მასპინძლებს ჩააგდებენ უხერხულ მდგომარეობაში. ეს უკანასკნელნი თუ სტუმრები ეყოლებათ იხდიან ჯარიმას ათ მანეთს.

ვავალებთ აგრეთვე კომისიას, ეს ჩვენი დადგენილება შემოკლებულათ მოათავსონ პრესაში.

კომისიის თავმჯდომარე: **ვ. ქ.**

—

P. S. ვსთხოვ ყველა პერიოდულ გამოცემებს მოათავსონ ეს ჩვენი დადგენილება.

**ვ. ქ.**

*) ეს ფული გადაიდება აჭარელთა სასარგებლოდ, ვინაიდან ყველაზე უფრო ეს ჩვენი ძმები დაზარალდნენ.

**რედაქცია.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

## გარეშე ცნობა.

**ბ. გრიგოლ ივანეს ძეს გველესიანს.**

ბ-ნო გრიგოლ ივანეს ძევ! მე თქვენ გიწვევთ სამედიატორო სამართალში, სადაც უნდა გაირჩეს მე და თქვენ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, რომელიც ეხება მამათქვენის მიერ დატოვებულ ანგარიშებს და რომელსაც ფაქტიურათ თქვენ განაგებთ. თუ მე გამტყუნდები და არ გავმართლდები მასში, რასაც მე თქვენ გედავებით იმ შემთხვევაში მე მოვალეთ ჩავსთვლი ჩემს თავს, რომ მე დიატორების დადგენილება სავსებით მივიღო და თანაც გადავიხადო ხუთასი მანეთი **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ** და თუ თქვენ გამტყუნდეთ, მოვალე იქნებით მედიატორული გადაწყვეტილება სავსებით მიიღოთ, მედიატორულ გადაწყვეტილებას გარდა კი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ რაც გენებოთ ის შესწიროთ.

ჩემის აზრით ყოველი თქვენისთანა საზოგადო ადამიანი ამ საზოგადოებრივ სამჯავროს არ უნდა მოერიდოს, ამასთან მედიატორებათ ვასახელებ საზოგადოებაში კარგად ცნობილ პირებს: ნოტარიუსს ივლიანე გრიგოლის ძეს ანჯაფარიძეს და რომანოზ ქაიხოსროს ძეს მახარაძეს; გთხოვთ თქვენც დაასახელოთ თქვენი მედიატორები ერთი კვირის განმავლობაში.

საქმე უნდა გაირჩეს საჯაროთ, საზოგადოების და პრესის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

პატივისცემით **აბრამ შაფათას ძე ენუქაშვილი.**

ძველი მეაბრეშუმეებისათვის ცნობილი ფირმის
„ძმათა პასხალიდის"
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სმოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

ძმ. ყორყოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მიიღებული
საპნის საქათიბელი სოდა ბორჯომის წყალი.
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).

ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.

ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Кавказскіе минеральные источники"—ფ. 10 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემი პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.